ჩვენს პლანეტაზე ყველაზე კეთილ, ყველაზე გულწრფელ პატარა ადამიანებს, ბავშვებს, გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!.. მშვიდობა და სიხარული, ბედნიერება და წარმატებები ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი!

მაკა ჭყონია,
ა(ა)იპ „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" დირექტორი

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 13 (10449) 5 ივნისი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

„სიმღერა სიყვარულის საგალობელია“

ანსამბლ „მართვეს“ საიუბილეო კონცერტი ოზურგეთში

ალიონი. 31 მაისს, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში 45-წლიანი ისტორიის მქონე, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერების ანსამბლმა „მართვე“საიუბილეო კონცერტი გამართა.

წინა დღით კი, „მართვეს“ წევრები და ხელმძღვანელები სოფელ მაკვანეთში, ნაკაშიძეების გორაზე ერქომაიშვილების საგვარეულო საძვალეს ესტუმრნენ და პატივი მიაგეს ამ დიდი ადამიანების ხსოვნას.

სოფლის ცენტრში, კულტურის სახლის ეზოში მრავალრიცხოვანი მაყურებლების წინაშე სახელდახელო კონცერტი გამართეს.

— 45-წლიანი არსებობის მანძილზე „მართვე“ პირველად ესტუმრა სოფელ მაკვანეთს, სადაც გურული სიმღერისა და გალობის კორიფეები ერქომაიშვილები, თოიძეები, ბაბილოძეები ცხოვრობდნენ, რომლებმაც დაიცვეს ქართული ხალხური სიმღერა, ხოლო ანზორ ერქომაიშვილმა ეს დიდი ტრადიციები განავითარა. „მართვეს“ ბიჭების გულებში ცოცხლობს ბატონი ანზორი და ჩვენი დიდი წინაპრები. ეს სტუმრობა მაგალითია ხალხური სიმღერების უკვდავების.

ამჟამად ანსამბლი „მართვე“ არის დამოუკიდებელი ერთეული და ატარებს სახელმწიფო ანსამბლის სტატუსს, რისთვისაც მადლობელი ვართ ჩვენი მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანის —აღნიშნა თავის სიტყვაში ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელმა **მიშო ჯავახიშვილმა.**

— ბავშვობიდან მოყოლებული 74 წელი ერთად ვიყავით

▶▶▶ გვ–2

მდინარე ნატანების აუზი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას

მდინარე ნატანების აუზებში ინეტრული მასალების ამოღება რომ შესაბამისი კანონების და წესების დარღვევით ხდებოდა და ხდება ამაზე არაერთხელ ვწერდით. საქართველოს მინერალური რესურსების სააგენტო ორი თვეა საჯარო ინფორმაციას არ გვაწვდის...ამჯერად მდინარის აუზში მომუშავე ექსკავატორები ჟურნალისტების გამოჩენისთანავე მდინარიდან ამოიყვანეს და გაიქცნენ. ჩვენს მიერ გამოძახებულმა გარემოსდაცვითი დეპარტამენტის რეგიონულმა წარმომადგენლება „პოლატის“ მიერ საბუთების წარმოდგენამდე დროებით შეაჩერეს კარიერის მუშაობა, თუმცა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და კარიერმა მუშაობა გააგრძელა.

წითელი ხიდი-სარფის ავტომაგისტრალის მშენებლობა აუცილებლად უნდა დასრულდეს, თუმცა იგი გურიის მდინარეების ხეობების განადგურების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია რა ხდება გურიის მდინარეების ხეობებში, როგორ მოიპოვებენ კომპანიები ინერტულ მასალებს, ნატანის ამოღება არ ხდება დასაშვები ნორმის ფარგლებში, მდინარეების აუზში მდებარე სოფლებში დაშრა არტეზიული ჭები, ვითარდება მეწყერული პროცესები, და მიუხედავად კლიმატის ცვლილებებზე გააქტიური პროპაგანდისა, ეკოლოგიური კატასტროფა გვიახლოვდება.

ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან აქვს დადებული ხელშეკრულება, რომ მოსახლეობა ყოველმხრივ ინფორმირებული უნდა იყოს, თუმცა თუნდაც ის ფაქტი, რომ ორი თვის განმავლობაში ვერ შევძელით მიგვეღო ინფორმაცია საქართველოს მინერალური რესურსების სააგენტოსგან, **აქვს თუ არა შესაბამისი ლიცენზია კომპანია „პოლატს“** და ამჯერად რა რაოდენობის ინერტული მასალა უნდა ამოიღოს მდინარე ნატანების აუზის 20-კილომეტრიან ზოლში, ყველაფერზე მეტყველებს.

როგორც ვწერდით, **(http://alion.ge/2022/02/sabrZolo-poligonad-qceul/**) ხელისუფლებამ ერთობლივი საწარმო „**POLAT YOL & MAPA**“ უფლება მისცა ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანებზე, ისტორიული ვაშნარის ციხე-ქალაქის მიდებარედ, ლიცენზიის გარეშეც მოიპოვოს წიაღი. ამისთვის **2020 წლის 4 სექტემბერს. სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების**

▶▶▶ გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო შრომასახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა სახის გასართობი და შემეცნებითი ღონისძიება გაიმართა.

პატარების განწყობაზე თოჯინების თეატრის მსახიობებმა ზღაპრის გმირებთან ერთად იზრუნეს. ასევე, მოეწყო სპეციალური კუთხეები: სახის მოხატვა, აპლიკაციების გაფერადება, საბავშვო ბიბლიოთეკა, სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. ბავშვების მონაწილეობით კონცერტი ჩატარდა.

ღონისძიებას მხარის რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შშმ პირებს ბავშვთა დაცვის დღე მიულოცეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები შშმ ბავშვებს ეწვივნენ და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს.

თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ბავშვებს სასაჩუქრე პაკეტები გადასცეს.

„მინდა, ყველა ბავშვს ვუსურვო მშვიდობა, სილაღე, ჯანმრთელობა და წარმატებული მომავალი. ყოველი დღე სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის.“– აღნიშნა ჩოხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ.**

„სიმღერა სიყვარულის საგალობელია“

ანსამბლ „მართვეს“ საიუბილეო კონცერტი ოზურგეთში

მე და ანზორ ერქომაიშვილი –სკოლაში, ჯარში, ხელოვნებაში. ანსამბლ „რუსთავში“ მქონდა ბედნიერება ჰამლეტ გონაშვილის გვერდით ვყოფილიყავი. ჩვენს გვერდით იყო ამირან გოლიაძე.

მაკვანეთი უნიკალური სოფელია. სოფელში, სადაც არტემ ერქომაიშვილის ანსამბლი იყო და ხშირად ატარებდა კონცერტებს, მეორე ანსამბლიც მუშაობდა. დღეს გავვახარეს მაკვანეთელმა ბავშვებმა. ახლად შექმნილმა ანსამბლმა. ესეთია ამ სოფლის ისტორია.

*გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ანზორმა გადაწყვიტა ბავშვთა ანსამბლის შექმნა, სამეგობროში დავდიოდით და ვთხოვდით –გამოეშვათ ბავშვები ჩვენთან–*აღნიშნა **გენო მუჯირმა.**

მაკვანეთელებს მიესალმნენ ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი **ავთანდილ სურგულაძე, ამირან გოლიაძე, ტრისტან სიხარულიძე,** სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი **გიორგი ბაბილოძე.**

ლანჩხუთში 1 ივნისი სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა

ქალაქის ცენტრალურ პარკში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

ანიმატორები, ასფალტზე ხატვა, პატარა მხატვრების გამოფენა და საზეიმო კონცერტი ღია ცის ქვეშ.

ღონისძიებებს ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

– ვულოცავ ყველა პატარას დღევანდელ დღეს, ისინი ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა. მინდა თითოეულს წარმატებული და ბედნიერი მომავალი ვუსურვო – აღნიშნა ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა.

დღესვე თვითმმართველობის პირველი პირები ლესის ბავშვთა სახლისა და დღის ცენტრ „იავნანას“ აღსაზრდელებს ესტუმრნენ დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

ხელოვნების სასახლეში გრანდიოზული კონცერტი გაიმართა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მხარდაჭერითა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ხელოვნების სასახლეში გრანდიოზული კონცერტი გაიმართა.

საკონცერტო პროგრამა კულტურის ცენტრთან არსებულმა სტუდია „მომავლის ბავშვებმა" წარმოადგინა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები.

„დღეს „მომავლის ბავშვებმა“ ნამდვილი დღესასწაული მოაწყვეს. ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთი ნიჭიერი მომავალი თაობა გვყავს.

ჩვენი გუნდის მიზანი და ვალდებულებაა, ბავშვებს შევუქმნათ უზრუნველი გარემო. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ყოველთვის იქნება თქვენი ერთგული მხარდამჭერი.

დიდი მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს.“– აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ.**

სოფელ შუხუთიდან გაგურამდე ახალი გზა კეთდება

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან გაგურამდე მისასვლელი 8 კმ გზის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა.

პროექტის ღირებულება, რომელსაც კომპანია „ახალი გზა“ ახორციელებს, ჯამში 4 108 888 ლარს შეადგენს.

მიმდინარე სამუშაოები ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

მდინარე ნატანების აუზი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას

შესახებ დებულების დამტკიცების“ .

შარშან „პოლატმა“ სექტემბრამდე მდინარე ნატანების აუზში მხოლოდ ოფიციალურად ერთი მილიონი კუბ. მეტრი ინერტული მასალა ამოიღო... ამჟამად ისინი კვლავ აგრძელებენ მუშაობას.

გაზეთი „ალიონი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოსთან“ ერთად აკვირდება მიმდინარე პროცესებს, ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე მოვინახულეთ კარიერი. დღეში საშუალოდ ათეულობით მძიმე წონიანი ავტომანქანა 300-400 რეისს ასრულებს და 8-10 ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალა გაქვს.

მაისის თვეში, როცა კარიერზე არსებული მდგომარება ვნახეთ, შემდეგ ავტობანი მოვინახულეთ, გადავწყვიტეთ „პოლატის“კუთვნილი გრანდიოზული სატეხი საწამოც გვენახა და „პოლატის“ წარმომადგენელს შევხვედროდით.

თარჯიმნის საშუალებით კომპანიის წარმომადგენელს შევეკითხეთ: **რა ნებართვები აქვთ ხელმეორედ, ერთი და იმავე მდინარის ლოკაციიდან წიაღისეულის მოპოვების? ვინ იყო ქართული მხრიდან ქვეკონტრაქტორი კომპანია; რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ინფორმაცია გემით ნაწილი გადამუშავებული ინერტული მასალის შავი ზღვის აუზის ერთ-ერთ ქვეყანაში გატანის შესახებ.**

„თუ გსურთ თურქული ჩაი მიირთვით, თუ არადა თქვენს კითხვებზე პასუხს ვერ გაგცემთო. თუ რაიმე გაინტერესებთ თბილისის ოფისში იკითხეთო"– ასე გამოგვისტუმრა სოფელ ნატენებიდან თურქული კომპანია „პოლატის“ წარმომადგენელმა.

როგორც წინა შემთხვევებში **ექსკავატორების ნაწილი ამჯერადაც მდინარის აუზში იდგა და დაახლოებით 3 მეტრი სიღრმიდან იღებდა ინერტულ მასალას.** ამას ისიც მოწმობდა, რომ მდინარის პირას დასაწყობებულ ქვა-ღორღს მიწის ფერი ჰქონდა და მიწის ნარევიც თვალშისაცემი გახლდათ.

ჩვენი გამოჩენის შემდეგ სწრაფად წავიდა გადარეკვა-გადმორეკვები და ექსკავატორები მდინარიდან ამოვიდნენ და სწრაფად გაეცალნენ იქაურობას.

ჩვენ ცხელ საზზე დავუკავშირდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომლის წარმომადგენლები გარკვეული დროის შემდეგ მოვიდნენ.დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს **ბენო ხომერიკს** ავუხსენით არ-სებული მდგომარეობა, ვაჩვენეთ გადაღებული ვიდეოები და ფოტოები და ვუთხარით, რომ არც კომპანია **„POLAT YOL & MAPA“** არ გვაძლევს ინფორმაციას მათზე გაცემული ლიცენზიის შესახებ, ვინაა ქვეკონტრაქტორები, აქვთ თუ არა წიაღისეულის მოპოვების გეგმა, რა რაოდენობის ინერტული მასალა უნდა ამოიღონ, თუკი სწორად იღებდნენ, რატომ ამოვიდნენ ტრაქტორები მდინარიდან, როცა ჩვენ იქ მივედით და ა.შ. ბენო ხომერიკმა გვითხრა, რომ წელს ისინი ამ კარიერზე საერთოდ არ შემოსულან... წერილობით შევადგინეთ განცხადების ტექსტი თუ რა სახის ინფორმაციის ვითხოვდით და გვითხრა, რომ **კომპანიიდან მათზე დოკუმენტების წარმოდგენამდე კარიერი დროებით შეაჩერებდა მუშაობას, ამის შესახებ აქ მომუშავეებსაც მიეწოდათ ინფორმაცია. კარიერზე მუშაობა დროებით შეჩერდა.** ნაწილი დასატვირთად მოსული მძიმეწონიანი ავტომანქანა უკან დაბრუნდა.

ამის შემდეგ გარემოსდამცველები მდინარის აუზში ინერტული მასალების ამოღების სიღრმის გასაზომად გაემართნენ. **ჩვენთვის უცნობია, ვისთან ჰქონდათ მათ სატელეფონო საუბარი, თუმცა გარემოსდამცველებმა შემდგომ გვაცნობეს, რომ კარიერს მუშაობა უნდა გაეგრძელებინა.**

გაზეთ „ალიონთან“ მდინარე ნატანების ხეობაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე კომენტარი გააკეთა გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა **ირმა გორდელაძემ:**

—ინერტული მასალების მოპოვება ხდება „წიაღის მოპოვების“, „წყლით სარგებლობის,“ კანონმდებლობის სრული დარღვევით.

სამწუხაროდ, ამ თემაზე საჯარო ინფორმაციას არ გვაწვდის საქართველოს მინერალური რესურსების სააგენტო. ამის გამო ვერ ვფლობთ ინფორმაციას მოპოვების მასშტაბებზე, გეგმასა და კანონიერებაზე.

ამ ადგილიდან შარშან ამ კომპანიამ მილიონობით კუბური მეტრი ინერტული მასალა გაიტანა და 5 თვის შემდეგ ისევ დაუბრუნდნენ მდინარეს, რომელსაც ნატანი ფაქტიურად არ აქვს. მდინარეს კალაპოტი მერამდენედ შეუცვალეს და მიაქვს სანაპირო ზოლი, ფერდობები. 3 მეტრ სიღრმეზე, პირდაპირ მდინარიდან იღებენ ქვა-ღორღს, რომელიც უკვე ტალახნარევია.

სახელმწიფო მნიშვნელობის ავტობანი იგებაო, კი ბატონო, მაგრამ მდინარე არაა სახელმწიფო მნიშვნელობის?

*ისე ვაშენოთ, მოვიპოვოთ , საფრთხე არ შევუქმნათ მაცოცხლებელ გარემოს, წინ გლობალური დათბობაა. ევროპული გარემოსდაცვითი სტანდარტები დავნერგოთ, კანონმდებლობა, საჯაროობა დავიცვათ. —*გვითხრა ირმა გორდელაძემ.

—იყო პერიოდი, როცა მდინარის აუზში ბევრი კომპანია მუშაობდა, ვაპროტესტებდით. ჩემი დეპუტატობის პერიოდიდან, ვიცი შარშან „პოლატს“შესაბამისი ნებართვა ჰქონდა. ჭებში ზაფხულობით მართლაც არ არის წყალი და ამ მხრივ თუ პრობლემაა, პირველ რიგში ჩემი ოჯახშია. გურიანთელებს ჩემთვის კარიერების თემაზე არ მოუმართავთ. როცა სოფელში ვინმე გარდაიცვლება და დავურეკავთ ამ კომპანიას, (მე პირადად კომპანიის ბულალტერს ვუკავშირდები), ყოველთვის გვაწვდიან ინერტულ მასალას გზის მოსაწესრიგებლად. სხვა მხრივ კარიერის მუშაობა კანონის დაცვით უნდა მოხდეს და მეც ამას დავუჭერ მხარს — გვითხრა სოფელ გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ნინო მახარაძემ.**

„გზა ბახვიდან ბერლინამდე“

ბახვი ჰესის სალექციო კურსი ახალგაზრდებისთვის „როგორ დავიწყოთ სტარტაპი“

2023 წლის 1 ივნისს,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლებში ბახვი ჰესის მიერ ორგანიზებული მორიგი სემინარი ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც სკოლას ადგილობრივი მეწარმე, **დავით თენიეშვილი** და მისი შვილი, **გაბრიელ თენიეშვილი** ეწვივნენ. დავით თენიეშვილს გურიაში ერთ-ერთი გამორჩეული ჩაის პლანტაციები აქვს და უკვე 30 წელია რეგიონში მცირე ბიზნესს მართავს. სწორედ სტარტაპის დაწყების თავისებურებები, რეგიონში არსებული შესაძლებლობები და მათი გამოყენების გზები იყო შეხვედრის მთავარი სასაუბრო თემები.

სემინარის ფარგლებში ახალგაზრდებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა გაბრიელ თენიეშვილმა, რომელიც უკვე წლებია ოჯახურ ბიზნესშია ჩართული და მიმდინარე წლის ზაფხულს თენიეშვილების ჩაი მთელ მსოფლიოს გერმანიაში ჩატარებულ ტურისტულ ფესტივალზე გააცნო.

სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ახალგაზრდებმა პასუხები მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე მიიღეს. მათ შორის, რა გამოწვევები ახლავს თან რეგიონში ბიზნესის დაწყებას, რა არის მათი დაძლევის გზები და რა შესაძლებლობები არსებობს დღეს ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად.

„ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა, ჩემთვის ნამდვილად განსაკუთრებული დღე იყო. სასიხარულოა, როდესაც შენი აზრი ვიღაცას სჭირდება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. იდეა, მოსწავლეები გაითვალისწინებენ ჩემს რჩევებს, რაც ბიზნესის დაწყების, თუ მისი კეთების პროცესში დაეხმარებათ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბახვი ჰესს, რომ ახალგაზრდებთან ჩემი გამოცდილების გაზიარების საშუალება მომცა. ნამდვილად დასაფასებელი საქმეა, როდესაც მომავალი თაობის განათლებისა და ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნავ, განსაკუთრებით კი რეგიონში, სადაც მსგავსი სახის ინიციატივები ხშირი არ არის“,— განაცხადა მეწარმე, **დავით თენიეშვილმა.**

„მადლობა მინდა გადავუხადო ბახვი ჰესს ამ ლექციის ორგანიზებისთვის. ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაზეც აქამდე არ მიფიქრია. მაგალითად, დღეს გავიგე, რომ სოფელ მთისპირში ახალი სამეწარმეო ხელშეწყობის პროგრამა გვაქვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი ინფორმაცია მივიღე ჩაის კულტურაზე, რაც ძალიან სასარგებლო იყო. ასევე, მიხარია, რომ გამოცდილმა მეწარმემ გავიზიარა საკუთარი გამოცდილება და რეგიონში საქმის კეთების უპირატესობები დავანახა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მომავალში ახალგაზრდებმა საკუთარი რეგიონები, სოფლები თავადვე განავითარონ და სახლ-კარი არ მიატოვონ“;—განაცხადა მთისპირის საკარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, **ნათია შავაძემ.**

„ოჯახში ვაპირებთ მცირე ბიზნესის დაწყებას. ტრენინგმა დამანახა, რომ სოფელში ბიზნესის კეთებასაც აქვს დიდი მომავალი. მადლობა ბატონ დავითს და მის შვილს, გაბრიელს ჩვენთან სტუმრობისთვის და თავიანთი გამოცდილების გაზიარებისთვის. საინტერესო იყო გაბრიელის მიერ მოყოლილი საკუთარი ისტორია და ის, რომ მან არჩევანი სოფელში ცხოვრებასა და მამის ბიზნესში ჩართვაზე გააკეთა“,— განაცხადა ჩხაკაურას საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, **სანა ბერიძემ.**

სემინარი მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლის უფროსკლასელებისთვის, კერძოდ, 8,9,10,11,12 კლასების მოსწავლეებისთვის იყო განკუთვნილი და მიზნად რეგიონში ბიზნესის დაწყების შესახებ ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებასა და მოტივაციის გაზრდას ისახავდა.

დაფინანსებული ფართი

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

ალიონი. 31 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა, რომელსაც **დავით დარჩია** უძღვებოდა.

სხდომის დასაწისში ერთგვარი სიტყვიერი შეხვლა-შემოხვლა მოხდა საკრებულოს ხელმძღვანელებსა და ფრაქცია „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარე დავით მჟავანაძს შორის.

დავით მჟავანაძე მუნიციპალიტეტის მიერ თანამდებობის პირებისთვის მსუბუქი ავტომანქანების შეძენას აპროტესტებდა,: *–ჯერ მოსახლეობის ინტერესი უნდა დაკმაყოფილოთ და შემდეგ თქვენი. ჯერ მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა შეგეცვალათ და შემდეგ შეგეძინათ თქვენთვის ავტომანქანები* – ცხარობდა მჟავანაძე.

–პირველად გხედავ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.საკუთარი თავის გარდა ვერაფერს ვერ ხედავ. შენს წინაპრებს მაინც ეცი პატივი – უპასუხა მჟავანაძეს **დავით დარჩამ.**

საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით აისახა შემდეგი განკარგულების პროექტები: მუნ-იციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩა 8-ში მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე და დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩებისათვის „მცხეთის ქუჩის“ და „შოთა გოგუაძის“ სახელის მინიჭების თაობაზე, მუნიციპალიტეტის გენდერული თანას-წორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ცვლილება იგეგმება, „მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ დადგენილების პროექ-ტში.

საკრებულო ცნობად მიღების მიზნით მოისმენს და განიხილავს, გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, ასევე, ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი მშენებლობის სასმელი წყლის რესურსების მართვის გაუმჯობესების თაობაზე და გარე ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

„ჩვენ არ ვარღვევთ შრომის კოდექსს, მუშა-მოსამსახურეები სამსახურში შეთანხმებით იმყოფებიან“

ალიონი. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა ოზურგეთში მოქმედი სამკერვალო ფაბრიკა „დენიმი“.

ჩვენი დაინტერესება სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რადგან რედაქციას დაუკავშირდნენ და გვითხრეს, რომ ქვეყნის უდიდეს დღესასწაული ამ საწარმოში ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო.

–ადრე 300 ადამიანი მუშაობდა სამკერვალო საწარმოში, პანდემიის შემდეგ მომუშავეთა რიცხვი შემცირდა და ახლა 170 ადამიანია დასაქმებული –გვითხრა „დენიმის“ მენეჯერმა **ნინო კილაძემ.**

– რატომ არ ისვენებს საწარმოს მუშა-მოსამსახურეები ქვეყნის უდიდესი დღესასწულის დღეს. ეს კითხვა დირექტორის თანაშემწეს **ლია ჯაბანიძეს** დავუსვით:

– ჩვენ არ ვარღვევთ შრომის კოდექსს. მუშა-მოსამსახურეები სამსახ-ურში შეთანხმებით იმყოფებიან, თვის ბოლოა და დატვირთვა გვაქვს. რა თქმა უნდა, მათთან შეთანხმებით დღესასწაულებზეც ვისვენებთ. 21 აპრილს, ბაირამობას ვისვენებდით. დღესასწაულებზე, შაბათ დღეს მუშაობისას ანაზღაურებას ორმაგს მიიღებენ –გვითხრა მან.

საწარმო დაგვათვალიერებინეს. ვესაუბრეთ საწარმოს ზედამხედველს დავით ქორიძეს, თავად დირექტორს ბირკან აქსეს.

„დემინში“ ქალის ჯინსის შარვლებს კერავენ. თუმცა საბოლოო სახეს ეს ჯინსები თურქეთში, მალათიაში, მათ სათაო სამკერვალო საწარმოში იღებს და შემდეგ გააქვთ უცხოეთის ბაზარზე.

გავიგეთ, რომ ამ დღეს დასაქმებულებს ორმაგი დღიური ხელფასი– 36 ლარი დაერიცხებათ, მათ გადაადგილებას საწარმო უზრუნველყოფს და ისინი გადაჰყავთ ოზურგეთის არაერთ სოფელში.შუადღისას კი უფასო კვება აქვთ.

აქ დასაქმებულებსაც გავესაუბრეთ:

ნონა კობერიძე: *–ჩვეულებრივი ამბავია, სახელმწიფო დღესასწაულის დღეს ვმუშაობთ. ორმაგი ანაზღაურებას მივიღებთ.ვიცი დიდი ზეიმია დღეს ქალაქის ცენტრში. საღამოს კონცერს დავესწრები* –გვითხრა მან.

ორმაგ ანაზღაურებს გაუსვა ხაზი საუბრისას აქ მომუშავე **ნათელა შავაძემ** და **დალი ზოიძემაც**...

–კარგი ანაზღაურება აქვთ. ვისაც სტაჟი აქვს 600-700 ლარი გამოსდით თვეში, დამწყებებს ნაკლები – გვითხრეს მათ.

საწარმო 8-საათიან რეჟიმში მუშაობს. მაგრამ ამას თუ დავუმატებთ ასკანიდან, ვაკიჯვრიდან, კონჭკათიდან, სილაურიდან და სხვა სოფლებიდან იქეთ-აქეთ მგზავრობის დროს, ბევრგან დაზიანებულ გზებს, აქ მომუშავე ქალბატონებს (არა მარტო აქ) ნაკლები დრო რჩებათ ოჯახისათვის

სოფელ კონჭკათში მთავარ ქუჩას ზაურ ჩანჩიბაძის სახელი მიანიჭეს



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით, სოფელ კონჭკათში მდებარე ცენტრალურ ქუჩას, ზაურ ჩანჩიბაძის სახელი მიენიჭა. ჯერ-ჯერობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ისტორიაში პირველი პრეცედენტი გახლავთ და იგი ამ დიდი ადამიანის, მეცნიერის და მამულიშვილის მიერ ნაკეთები კარგი საქმეების დაფასება გახლდათ.

ზაურ ჩანჩიბაძის ბიოგრაფია, სოფელ კონჭკათში ჩანჩიბაძის ქუჩაზე შეკრებულთ მაჟორიტარმა დეპუტატმა **გელა არაშიძემ** გააცნო.

დაიბადა 1941 წლის 29 მარტს. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლა, 1964 წელს სოხუმში ასევე წარმატებით (წითელ დიპლომზე) –საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

1970 წელს, ასევე წითელ დიპლომზე დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1980 წელს წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი.

1964-1993 წლებში მუშაობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის კათედრაზე, სადაც გაიარა ყველა საფეხური ასისტენტიდან პროფესორობამდე. 1978 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის ბიოტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

სოხუმის დაცემის შემდეგ იგი თბილისში გადავიდა მუშაობდა „საქმინწყალის“ უფროსად.

ზაურ ჩანჩიბაძის მიერ ნაკეთებ საქმეებზე, ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ, ისაუბრეს ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლავრენტი ბიგვავამ,** ოზურგეთის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ღურჯუმელიძემ,** ყოფილმა სტუდენტმა, ბიზნესმენმა **ბეგი სიორიძემ,** დიასახლისმა **ნინო გრაფშინსკიმ,** ბიზნესმენმა **მიშიკო მდინარაძემ.**

მანანა ჯეჯაია: – 1975 წელს სოხუმში, ბიბლიოთეკაში გავიცანი. შემდეგ ერთმანეთს ვხდებოდით. იმავე წელს დავოჯახდით. ძალიან ლამაზი ოჯახი გვქონდა, გვიყვარდა ჩვენი სოხუმი, სადაც ზაურს დიდი დაფასება ჰქონდა. სამწუხაროდ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აფხაზეთში სხვა მოვლენები განვითარდა.

სოხუმიდან ქართველების გამოძევების შემდეგ ზაური საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა. მინერალური და მტკნარი წყლების რეგულირების დეპარტამენტის „საქმინწყალის“ უფროსი იყო გარდაცვალებამდე.

ორი ქალიშვილი მყავს. უფროსი თეა–ხელოვნებათმცოდნეა.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. ტურიზმის დეპარტამენტში მუშაობს პიარ-მენეჯერად. დაოჯახებულია. შვილიშვილი ნიკოლოზი 21 წლისაა, სტუდენტი.

ეკას სასულიერო და სამხატვრო აკადემიები აქვს დამთავრებული. სტილისტ-დიზაინერია. დაოჯახებული.

ზაურის ძალიან უყვარდა სოფელი კონჭკათი. ასე ამბობდა, მუშაობას თავს რომ დავანებებ, ჩემს მშობლიურ სოფელში უნდა დავბრუნდეო. ნამდვილი ზეიმი იყო მისი აქ ჩამოსვლა, ახლობლებთან და მეგობრებთან შეხვედრები. ძალიან მოსიყვარულე იყო, რითიც შეეძლო, ისე ახმარებდა მოყვასს, აუგს ვერავიზზე ვერ ათქმევინებდით. სამწუხაროდ, 2004 წელს დაგვტოვა – გვითხრა ქალბატონმა მანანამ.

დღის ცენტრ „სავანეს“სასმელი წყლის დანადგარი გადაეცა

1 ივნისს „შალომ კლუბის" წევრებმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დღის ცენტრის „სავანე"-ს ბენეფიციარებს და 3500-ლარის ღირებულების ისრაელის წარმოების სასმელი წყლის დანადგარი

500 გადასცეს.პროექტი განხორციელდა „შალომ კლუბის" მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის„ **unicef"-**ის დაფინანსებით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ისრაელის საელჩოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ხელშეწყობით.

გამოიწერეთ
გაზეთი
«ალიონი»
1 წლით – 32 ლარი
6 თვით – 16 ლარი

ამბავი გურიაში დაბადებული დედით გურული დიდი კაცისა

ნათქვამ გახსენებულს თუ გაცნობილს დავუბრუნდე უნდა.

ასე მოითხოვა „ილია და გურულების“ თხრობის ლოგიკაც და თქვენი მონა მორჩლის სურვილი.

„მატიანული“ დროით 1895 წლის 12 მარტია, ილია ჭავჭავაძე „მეუღლის, ოლღა გურამიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით მართავს წვეულებას. სტუმრად მყოფი გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძე ენთუზიაზმით საუბრობენ რუსეთში მეფობის გადაგდებისა და კონსტიტუციური წყობილების დამყარების აუცილებლობაზე, ილია ჭავჭავაძე კი ეუბნება, რომ ასეთი ცვლილებები საქართველოსთვის არახელსაყრელი იქნება. მისი თქმით, არსებულ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა ახერხებს რუსეთისთვის ფეხის აწყობას, მაგრამ თუ ეს დიდი იმპერია თავისუფლებას მოიპოვებს, სწრაფად წავა წინ, ჯერ ეკონომიკურად დაგვიპყრობს, შემდეგ კი ან გაგვარუსებს, ან აღგვგვის დედამიწის პირიდან“.

აი, როგორ აღწერ სულ ახლახან მოყოლილ ამბავს გიორგი ლასხიშვილი (1866-1931), პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თანამშრომლობდა „ივერიაში“ იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ლალი“. პარიზში გამოსცემდა გაზეთ „ცნობის ფურცლს“.

„ილიას ჩვეულება ჰქონდა წელიწადში რამდენჯერმე თავის მეგობრების მოწვევა, ახალი წლის შეხვედრა, მეუღლის, ოლღას (გურამიშვილის ასული) დაბადების დღეს, აღდგომის კვი-რის ერთ-ერთ დღეს გამართავდა ხოლმე ასეთ წვეულებას და ჩვენც, რედაქციაში მომუშავეთ მიგვიწვევდა.

ადრე შევიკრიბებოდით და ვახშმობამდე გაიმართებოდა ანკ ამათი, ანდა ილია თავის მოგონებებს გვიამბობდა. ილია კარგ გუნებაზე როდესაც იყო, მეტადსასიამოვნო და საინტერესო საუბარი იცოდა. პირველსავე ასეთ წვეულებაზე, მახსოვს, ილიასთან ცხარეკამათი მოგვიხდა. სიტყვა ჩამოვარდა ახალ მეფე ნიკოლოზ II-ზე. იმ დროს ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის შესახებ, როგორ მოტყუვდა რუსის საზოგადოება, როგორ გაუც-რუვდათ იმედი რეჟიმის შეცვლისა და საკონსტიტუციო ხანის დაწყებისა.

აგრეთვე რუსეთის სარევოლუციო მოძრაობაზედაც დაიწყეს ლაპარაკი. მე, კიტა აბაშიძემ, ილია ნაკაშიძემ გული ვიჯერეთ ახალი თვით-მპყრობელის გინებით და იმ აზრს ვიცავდით, რომ მალე სარევოლუციო მოძრაობა გაძლიერდება და რომანოვების ბატონობას ბოლო მოელება.

უეცრად ლაპარაკში ილია ჩაერია და ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და პარადოქსალური სიტყვა წარმოთქვა. ჯერ მან განაცხადა, რომ მაინცადამაინც არაფერი სწამს რუსეთის რევოლუციისა. რუსეთი გლეხობის ქვეყანაა ჯერ-ჯერობით დადხანს დარჩება ასეთ ქვეყნად ჩამორჩენილ სასოფლო-მეურნეობით, სიღარიბით, უვიცობით. გლეხობა, ნამეტურ რუსის გლეხობა, თაყვანსა სცემს და აღმერთებს მეფეს; თავის მტრად მეფე კი არ მიაჩნია, არამედ ჩინოვნიკობა და ამასთან ერთად ინტელიგენციაც. რუსეთის გლეხობა რევოლუციას არ მოახდენს, ხოლო ქალაქის მუშა ერთობ მცირერიცხოვანი და სუსტი ელემენტია. ყოველ შემთხვევაში რუსეთის რევოლუცია ძალიან პრობლემატიური და შორეული ამბავიაო. შემდეგ ილია შეუდგა იმის მტკიცებას, რომ თვითმპყრობელობის მოსპობა და საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება ჩვენთვის, ქართველებისათვის, სახეირო სრულიადაც არი ქნებაო. თქვენ რომ ოცნებობთ, იმისთანა თანასწორობას, ერთობის და ძმობის, უმაღლეს სამართლიანობის სამეფო ჯერ ძლიერ შორს არის, არათუ რუსეთისთვის, არამედ განათლებულ და განვი-თარებულ ინგლისისა და საფრან-გეთისთვისაც.

ხოლო დასავლეთ ევროპის საკონსტიტუციო რეჟიმის დამყარება რუსეთში, ჩვენ, ქართველებს დიდ საშიშროებას გვიქადის. რუსის საზოგადოებაში და ხალხში დიდი პოტენციალური ძალაა, რომელსაც დღეს სძინავს. რუსის ხალხი ილია მურომეცია, ხელფეხშებორკილი სძინავს და ამიტომ ჩვენ, არარუსებს შესაძლე-ბლობა გვაქვს ვიარსებოთ და ვისუნთქოთ. ახლა რუსეთი ვერ გვისწრებს წინ, ჩვენც ვახერხებთ და მივდევთ უკან. იმდენი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა არ შესწევს, რომ საგრძნობლად გაგვისწროს და მერე, როგორც ჩამორჩენილი, ველური ხალხი, გადაგვყლაპოს. ხოლო თუ ბორკილს მოიშორებს და თავისუფ-ლებას მოიპოებს, იგი ძლიერის სიჩქარით წავა წინ, ჯერ ეკონომიურად დაგვიპყრობს და მერე ან გაგვარუსებს, ან აღგვის დედამიწის პირისაგანაო. აი, პოლონელებს და ფინლანდიელთ ვერას უზამს. ისინი ძლიერი არიან როგორც ეკონომიურად, ისე ეროვნულის შეგნებით. აი ამათთვის საკონსტიტუციო რეჟიმი სასარგებლო იქნება, რადგან შესძლებენ და დიდ მეტოქეობას გაუწევენ რუსებს. ჩვენ კი იმდენად სუსტნი ვართ ეკონომიურადაც და ნაციონალურისთვით შეგნებითაც, რომ თავისუფალი რეჟიმით წათამამებული და წახალისებული რუსეთი თავის ქერქში ველარ დაეტევა, სამხრეთ მდიდარ ქვეყანას გადმოხეთქავს და ჩვენ ადვილად წაგვლეკავსო”.

მეტად საინტერესო ამონარიდია, საკმაოდ ვრცელი „მემურებიდან“, ბევრამეზე დაგაფიქრებს კაცი. მაგარი მომზადება უნდა გქონდეს ვიდრე დაეთანხმები ან არ დაეთანხმები... და ვის! ილიას!

ასე ვფიქრობ მე და ამ ფიქრებთან თუ ფიქრებსი მარტო რომ არ ვარ „მემუარების“ გაგრძელებაც დაგიდასტურებთ...

„ჩვენთვის ილიას ასეთი მსჯელობა მიუღებელი იყო და ვუმტკიცებდით, რომ საკონსტიტუციო რეჟიმი ქართველ ხალხსაც მისცემს ხელში მძლავრ იარაღს ზრდისა დაგ ანვითარებისათვის. მაგრამ ილია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და გვეუბნებოდა: ყმაწვილებო, სტყუვდებით, თანამედროვე საკონსტიტუციო რეჟიმი ძლიერებს ამაგრებს, ხოლო სუსტებს მონებად აქცევსო.

რამდენი სიმართლეა ილიას ამ სიტყვებში, რა ღრმა გაგებაა თანამედროვე ბურჟუაზიულ პარლამენტარული თავისუფლებისა! მაგრამ ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ილიას ვერ დავუმტკიცეთ, რომ ეს რეჟიმი მხოლოდ ეტაპია, საფეხურია, რომლის საშუალებით განთავისუფლებული კაცობრიობა უფრო მაღალსა და სამართლიანს სამეფოს დაამყარებს. ილია ნაღვლიანის ღიმილით გვიპასუხებდა ხოლმე: — ჯერ-ჯერობით, ეგ ნამდვილი ოცნება და ზღაპარია, ყოველშემთხვევაში, ისეთი შორეული ამბავია, რომ სანამ პავლე მოვა, პეტრეს ტყავს გააძრობენ“.

მგონი, დროა ამ საუბრის ერთ-ერთი მონაწილის ბიოგრაფია გავახსენო/გავაცნო გაზეთ „ალიონის“ მკითხველებს.

მართლა დიდი კაცი გახლდათ **კიტა აბაშიძე,** გურიაში დაბადებული, მამით იმერელი და დედით გურული დიდი და ტრაგიკული ბიოგრაფიის კაცი!

ეროვნული ბიბლიოთეკის ვიკიენციკლოპედია „ბიბლიოკის“ მივმართოთ; ბევრ სხვა მეტად ენციკლოპედიური ხასიათის სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიებს შორის კიტა აბაშიძის ბიოგრაფიასაც წაიკითხავს დაინტერესებული მკითხველი:

„აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე - (16.I.1870, სოფ. ლესა, ოზურგეთის მაზრა. - 17.XII.1917, თბილისი) - ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

1889 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და გაემგზავრა პარიზში, სადაც 10 თვის განმავლობაში სორბონის უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებში ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. 1890-1895 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1895 წლიდან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა თბილისის „საკონტროლო პალატაში“; შემდეგ - მომრიგებელ მოსამართლედ რაჭის მაზრაში, შემდეგ - ჭიათურაში. 1901 წლიდან ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ნდობის ბანკის“ თავმჯდომარეა. მალე ის გახდა და სიცოცხლის ბოლომდე იყო ამავე მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის (გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილის) მოადგილე.

1890-იანი წლებიდან კ. აბაშიძე ინტენსიურად აქვეყნებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს წარსულ და მის თანამედროვე მწერლებსა და ლიტერატურულ პროცესებზე. მისი სტატიების სერიებმა რუბრიკით „ცხოვრება და ხელოვნება“ და ნაშრომმა „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას და ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლას.

გარდა ლიტერატურული სარბიელისა, კ. აბაშიძე აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1896 წლიდან ის შეუერთდა გაზ. „ივერიაში“ მოღვაწე ინტელიგენციის ახალ თაობას, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელების“ სახელითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. შემდგომში ამ ჯგუფის ბაზაზე ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რომლის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. 1907 წელს შედიოდა პარტიის ცენტრალურ (მთავარ) კომიტეტში. ამავე წელს შეიქმნა პარტიის ქუთაისის კომიტეტი, რომლის მესვეურები იყვნენ გ.ზდანოვიჩი-მაიაშვილი და კ. აბაშიძე. როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად - 1905 წელს, მეორედ - 1909 წელს, როცა იგი ქუთაისის თავად-აზნაურთა შეკრებაზე გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით. ორივე შემთხვევაში მალე გაათავისუფლეს. იყო „საქართველოს კულტურულ საზოგადოებათა კავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. თავმჯდომარეობდა ქუთაისის საზოგადოება „სინათლეს“. ჟანდარმერიის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, „სინათლის“ მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო საღამოზე, 1915 წლის 6 იანვარს, კ. აბაშიძემ ღიად გამოხატა გერმანიის მხარდაჭერა მიმდინარე მსოფლიო ომში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ კ. აბაშიძე შეიყვანა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი“) შემადგენლობაში. სოციალ-დემოკრატებმა მოინდომეს მის მაგივრად აკ. ჩხენკელის შეყვანა „ოზაკომში“. ამ მცდელობას მოჰყვა სერიოზული საპროტესტო მოძრაობა, რის გამოც დროებითმა მთავრობამ დათმო და კომიტეტში შეიყვანა კ. აბაშიძეც და აკ. ჩხენკელიც. სამწუხაროდ, მან ვეღარ შეძლო ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება, მძიმე ავადმყოფობის გამო, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

მისი მეუღლე იყო ერეკლე მეორის ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის ვაჟის, ვახტანგ ორბელიანის შვილიშვილი — თეკლე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომლისგანაც ჰყავდა ოთხი შვილი. მათგან უფროსი - გიორგი, ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1924 წლის ავჯანყებაში მონაწილეობისათვის. კ. აბაშიძე დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში“ (დიმიტრი შველიძე).

„მატიანის“ კალენდრით, ამასობაში 1896 მარტია. „გაზეთ „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებს - დავით მიქელაძესა და გიორგი ლასხიშვილს შორის შექმნილი უთანხმოების გამო ილია ჭავჭავაძესთან ოჯახში მიდიან გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია ნაკაშიძე. სთავაზობენ, რომ „ივერია“ მათ გადასცეს და რომელიმე მათგანი დაამტკიცოს რედაქტორად“...

როგორც ხედავთ, სამი ვიზიტორიდან ორი გურული თუ არა, გურიაში დაბადებული ახალგაზრდა, მეტად გაბედულ ნაბიჯს დგამენ. აბა, როგორი საქმეა, ჯერ ილიას ესტუმრო და „ივერიის“გადაცემა სთხოვო!

ნეტა რამდენი კაცი გაბედავდა ასეთ ვიზიტსა და თხოვნას, გინდა იმ დროს!

ცოტა, ერთეულები, სავარაუდოდ...

ვარაუდები გვერდზე გადავდოთ და „მემუარებს“ დავუბრუნდეთ.

განა საინტერესო არაა, როგორ იხსენებს ამ ამბავს ბატონი გიორგი?

„პირველხანებში «ივერიაში» მე არავინ მიშლიდა თავისუფლად წერას, ცენზურის გარდა რასაკვირველია, შინაური ცენზურა არმქონია. როგორც ზევითა ვთქვი, ილია სრულიად არ ერეოდა სარედაქციო საქმეში, ხოლო დავით მიქელაძე, არ ვიცი ილიას დირექტივების თანახმად, თუ თავისნებით, ხმას არ იღებდა ჩემს წინააღმდეგ, თუმცა კარგად ვხედავდი, ჩემს რადიკალობას არ თანაუგრძნობდა. ასე გაგრძელდა რამდენსამე თვეს, მაგრამ, ბოლოს, დავითმა მაგრძნობინა, რომ მე სტუმარი ვარ «ივერიაში»... ახალგაზრდობაში, როგორც გამიგონია, ის თითქმის რევოლუციონერიც ყოფილა, მაგრამ იმხანად, როცა «ივერიას» განაგებდა, დავითი მეტად ზომიერი მწერალი და მოღვაწე იყო. საკმარისია გავიხსენოთ მისი ზოგიერთი პოლიტიკური წერილი, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

... მახსოვს ერთი წერილის გამო დიდად უსიამოვნო შეტაკება მოგვიხდა. ის იყო ჩინეთ-იაპონიის ომი დასრულდა; ევროპის სახელმწიფოებმა ისარგებლეს მომენტით და თავისებური თარეში დაიწყეს ჩინეთში. ამის გამო მე დავწერე წერილი, რომელშიაც აღვნიშნავდი ჩინეთის გამოღვიძებისა და გამოფხიზლების ნიშნებს; ვწერდი, რომ ჩინეთში და საერთოდ აღმოსავლეთში ბრძოლა იწყება ევროპიელთა უსინდისო ექსპლოატაციის და ძალმომრეობის წინააღმდეგ; რომ მომავალში ეს ბრძოლა გაძლიერდება და აღმოსავლეთი იხსნის თავს უცხო კაპიტალისტების ბატონობისგან. წერილის დასასრულს ვამბობდი, რომ ნახევრად დამონავებულ აღმოსავლეთის ქვეყნების ამ ბრძოლას დახმარებას აღმოუჩენს თვით ევროპის დემოკრატია; ევროპის მუშათა მოძრაობა დღითი-დღე იზრდება, ბრძოლა თანამედროვე სოციალურ უკუღმართობის წინააღმდეგ თანდათან მწვავდება და ეს მოძრაობა, ეს ახალი საზოგადოებრივი ძალა ბუნებრივი დამხმარე იქნება აღმოსავლეთის ხალხთა მათ ეროვნულ ბრძოლაში — მეთქი. დავით მიქელაძემ დატოვა წერილის პირველი ნახევარი, მაგრამ დანარჩენი, რაც შეეხებოდა ევროპის დემოკრატიას, გადასდო და მითხრა:

გიორგი, გარწმუნებთ, ეს მეტია... წერილი კარგია, საინტერესოა. აღმოსავლეთში დაწყებულია ბრძოლა ევროპიელთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მაგრამ რა საჭიროა აქ მუშათა მოძრაობაზე ლაპარაკი. მე წინააღმდეგის მტკიცება დავუწყე და, სხვათა შორის, ვუთხარი:

— თქვენ, დავით, არ გესმით თანამედროვე მომენტი. დემოკრატიის ზრდა, მუშათა მოძრაობა არ მოგწონთ და არცა გწამთ. ამიტომ ყოველთვის ამ საკითხში ამიხირდებით ხოლმე. ჩემი ეს სიტყვები დავითს ძალიან ეწყინა, კამათი შესწყვიტა და გადაჭრით გამომიცხადა:

— ამ სახით წერილის დაბეჭდვის წინააღმდეგი ვარ და ვერ დავბეჭდავ. თუ ბოლოს სრულიად ჩამოაშორებთ, წერილი დაიბეჭდება. წავიღე ჩემი წერილი, ბოლო ცოტათი შევამოკლე, თვითონ გადავეცი სტამბას და მეორე დღეს წერილი დაიბეჭდა.

გიო კილაძე

(გაგრძელება იქნება)

რენო ურუშაძის გახსენება

მარცხნიდან: თემურ ჭკუასელი, ზაურ ქობულაძე, რენო ურუშაძე, გურამ ბურჭულაძე

გასული საუკუნე 40-იანი წლების შემდგომ თაობებს კარგად ახსოვთ ოზურგეთის ერთ-ერთი გამორჩეული, კოლორიტი, განათლებული და კაი გურული – რენო ურუშაძე. მან პირადად მე თავი დამამახსოვრა ყველა საქმეში ჩახედულობით, ყველა საქმის ცოდნით და დიდი პასუხისმგებლობით. არ არსებობდა რაიმე კითხვა, რაზეც რენოს ამომწურავი პასუხი არ გაეცა. სწორედ,ამიტომაც იგი სხვადასხვა დროს სპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობდა ჩვენს რაიონში.

რენო ლავროსის ძე ურუშაძე დაიბადა 1933 წლის 24 დეკემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში.მან დაამთავრა ოზურგეთის „ვაჟთა სკოლა.“ სწორედ ამ პერიოდში მე ოზურგეთის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში ვსწავლობდი და კარგად მახსოვს რენო ურუშაძე, როგორც კარგი ფრენბურთელი. იგი სხვებისაგან სიმაღლით გამოირჩეოდა კარგად ურტყამდა ე.წ. „ტოპკებს“, რომელიც თითქმის აუღებელი იყო მოწინააღმდეგისათვის.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რენო ბრუნდება მშობლიურ რაიონში და მუშაობას იწყებს სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო რაიონის მთავარი ინჟინერი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, რაიონის ელექტრომეურნეობის დირექტორი, „ბეუჯჰესის“ დირექტორი.

რენო ურუშაძემ ქალბატონ დოდო ტრაპაიძესთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მათ ოჯახურ ურთიერთობებზე ლეგენდები დადიოდა რაიონში. რენო ყურადღებიანი პიროვნება იყო საერთოდ, და აბა ოჯახს რა თქმა უნდა უზომო ყურადღებას უთმობდა. ამ შესანიშნავ წყვილს ეყოლათ ორი შვილი: ლია და ლევანი, ორთავე განათლებული და ცნობილი პიროვნებები არიან. ლია ხელოვნებათმცოდნეა, ლევანი – ქ. ოზურგეთის მერადაც იყო არჩეული.

მინდა ცოტა რამ გავიხსენო რენო ურუშაძის ქველმოქმედებიდან. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, შემხვედრია და უთქვამს: –ტრისტან, ჩამიჯექი მანქანაში და გამყევი „ბეუჯჰესზეო.“ მანქანაში ჩალაგებული ჰქონდა სურსათი, ხილი, სასმელები, ტკბილეული და მიჰქონდა მუშებთან, სადილისათვის. პირადად ჩემთვისაც ბევრჯერ გაუკეთებია მსგავსი რამ. შემიყვანდა მაღაზიაში,დამტვირთავდა და მეტყოდა: –„ახლა ცოტა შეჭირვებული პერიოდია და ცოტას წაგეხმარებიო.“ უარი რა თქმა უნდა არ გამივიდოდა და ან როგორ ვეტყოდი, როცა გასაჭირი მართლაც იყო იმ პერიოდში.

რენოს ძალიან უყვარდა მეგობრებთან ერთად მოლხენა და სიმღერა. სწორედ ამიტომ, „შვიდკაცას“ ნაწილი წევრები ხშირად ვიყავით მისი თანამესუფრენი. გურულ სიმღერებს თავად არ მღეროდა,მაგრამ ძალიან უყვარდა და გვისმენდა. თავად კი გიტარაზე კარგადაც უკრავდა და მღეროდა კიდეც.

გულსდასაწყვეტად, ულმობელმა სენმა ადრე წაგვართვა ჩვენი რენო. იგი დიდხანს არ ეპუებოდა სენს, მაგრამ სამწუხაროდ ნაადრევად დატოვა წუთისოფელი.

მინდა, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც რენო ურუშაძე იყო, კიდევ ბევრი არსებობდეს ამ ქვეყანაზე – რათა სიკეთემ ყოველთვის იზეიმოს ბოროტებაზე.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გამოსცა

მდებარეობა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ უკანავას მიმდებარე ტერიტორია

2023 წლის 30 მაისს, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მდინარე ბახვისწყალზე,ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გამოსცა.

„დღესმოვიღეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, გურიაში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე, სოფელ უკანავას მიმდებარედ დაგეგმილ ბახვი 2 ჰესის პროექტზე. ახლა დროა გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე. ამჟამად ვმუშაობთ საშენებლო ნებართვების საკითხზე. მესამე წელი დაიწყო, რაც რეგიონში ვართ წარმოდგენილები და საკმაოდ კარგად გავიცანით ადამიანებიც და გარემოც. გვახარებს ის ფაქტი, რომ მოგვცა საშუალება ავაშენოთ ჰესი, რომელსაც პრეტენზია ექნება იყოს საუკეთესო პროექტი გარემოსდაცვისა და სოციალური საკითხების მართვის თვალსაზრისით. ეს კი მხოლოდ ჩვენი, როგორც პროექტის განმავითარებლების დამსახურება კი არ იქნება, არამედ მთელი აქაური საზოგადოების, ვინც პირველივე დღიდან იყო ჩართული ამ საკითხის განხილვებში და ვისი რეკომენდაციების საფუძველზეც მოხდა პროექტის დახვწა და ოპტიმიზაცია.დიდი მადლობა თითოეულ პირს, რომელსაც გული შესტკივა და უნდა საუკეთესო თავისი რეგიონისთვის. დიდი მადლობა ბახვი ჰესის მრჩველთა საბჭოს წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წამომადგენლებს, სწორედ მათი ჩართულობით მოგვცა საშუალება, ეს პროექტი საუკეთესო გავხადა რეგიონისა და ქვეყნისათვის“ - განაცხადა **გიორგი აბრამიშვილმა,** ბახვი ჰესის დირექტორმა.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 21 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში ჩატარდა. საჯარო განხილვის დროს პროექტს უპრეცედენტოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ადგილობრივი (მთისპირის თემის) მოსახლეობისგან და მუნიციპალიტეტში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

სკანვორდი





პასუხები:

ლეონარდო დიკაპრიო; ბაბილონი; ალბერტ ეინშტაინი; ბალიკა; ალბერტ ეინშტაინი; ბალიკა; ალბერტ ეინშტაინი; ბალიკა

ძველი ოზურგეთის ქუჩების ისტორიები

დიმიტრი ერისთავის ქუჩა

დიმიტრი ერისთავის ქუჩას ადრე გასაბჭოებამდე პროგიმნაზიის ქუჩა ერქვა.

ოზურგეთის პროგიმნაზია

ოფიციალური მონაცემებით 1846 წელს დაარსებულ გურიის სასულიერო-სამრევლო სასწავლებელს 1917 წელს უწოდეს ოზურგეთის საეპარქიო ვაჟთა პროგიმნაზია, 1919 წელს გაერთიანდა საეპარქიოს ვაჟთა პროგიმნაზია და და ვაჟთა გიმნაზია.(,,სსიპ ქალაქ ოზურგეთის 1 საჯარო სკოლა 170 წლისაა)... მანამდე კი...

1896 წელს ოზურგეთში მყოფი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერდა: ,,სკოლები ყველა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ამ უკანასკნელ წლებში მაინც ხშირია, როცა სასწავლებლიდან უკნ გაუგზავნიათ შიგ შესვლის მსურველი, ახლა გადაწყვეტილია სამრევლო საქალებო სკოლაც მოუმატოს სკოლების ხსენებულ რიცხვს ,გარდა ამისა ,ოზურგეთის თვითმართველობა ცდილობს ოზურგეთში პროგიმნაზია გაახსნევინოს მთავრობას“ ... ,, საზოგადოდ მთელ ქალაქსა და კერძოდ ,,ამხანაგობათა“ და დაწესებულებათა დარაჯად უდგას ქალაქის თვითმმართველობა, შემოღ-ებული 1896 წელს. ქალაქის თავად მოწვეული ჰყავთ ახალგაზრდა უნივერსიტეტი, ოზურგეთის მაზრისავე მკვიდრი, რაც აქამდე დააკლდა ქალაქს უპატრონობითა და მოუვ-ლელობით, ახლა ცდილობს თვითმართველობა შეივსოს. მართალია, მთელი წლიური ბიუჯეტი ქალაქისა სამას ოთხას თუმანს არ აღემატება, მაგრამ ამით გულს არ იტეხს თვითმმართველობა, გაორკეცებული მხნეობით ეკიდება ყოველსავე დაბრკოლებას, ბევრი კითხვები აღძრა თვითმმართველობამ, რომელთაც სამაზრო მნიშვნელობაცა აქვთ,თვითმმართველობამ შეაფასებინა ქალაქის უძრავი ქონება შემოსავლის კვალობაზე . თვითმმართველობა ცდილობს ოზურგეთში სავაჟო პროგიმნაზია დაარსოს. თვითმმართველობამ გაუხსნა მკვიდრთ საჯარო წიგნთსაცავი, თვითმმართველობა ცდილობს სამუდამო თეატრი შეაძენინოს ოზურგეთსა, ბოლოს თვითმმართველობავე თავობს ოზურგეთში საექიმო თავშესაფრის დაარსებას და ექიმის მოწვევას და სხვ.

სანუგეშო ის არის, რომ იმ დროს როცა ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებსა, იმათაც კი, სადაც თვითმ-მართველობა არის შემოღებული, საღათას ძილითა სძინავთ, ოზურგეთი ეს პატარა და ღარიბი ქალაქი, წელებზე ფეხს იდგამს. აწუხებს ცას და ქვეყანას: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!...აქაც ყველაზე მეტად აშკარად ჩანს გურულის ცოცხალი ბუნება: ათასნაირ გზას ეძებს-გასაჭირს მოუაროს, ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმე. გულს იმედი გესახებათ როცა იმათ უყურებთ...(თედო სახოკია, ,,მოგზაურობანი“ გვ.28).

სხვა ცნობით, 1918 წლის 6 დეკემბერს ოზურგეთის პროგიმნაზიის გამგებელმა ილია ფერაძემ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინსტროს მისწერა, რომ მღვდელი სოლომონ ანდღულაძე დინჯი და აუჩქარებელი ხასიათით მოსწავლეებზე კარგ გავლენას ახდენდა, ქართული ზედმიწევნით კარგად იცოდა და იყო ბეჯითი. ხელს აწერენ პროგიმნაზიის გამგე და პროგიმნაზიის საქმისმწარმოებლის აღმასრულებელი მდივანი ი. ღლონტი.

დიმიტრი ერისთავის ქუჩა იწყება გურიის ქუჩიდან ვიდრე თამარ მეფის (ყოფილი ლენინის) მოედნამდე.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გურიაში ხშირად გაიგონებდით შეწუხებული ავადმყოფეის სიტყვებს: ჩვენი ტიტიკო მომიყვანეთ და ის მომარჩენსო“

ცნობილი დასტაქარი., ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი (ტიტიკო) ერისთავი დაიბადა 1862 წელს, სოფელ გორაბერეჟოულში. მამა კონსტანტინე მომრიგებელი შუამავალი იყო ოზურგეთში, ბაბუა ვახტანგ ერისთავი გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის ბოქაულთ უხუცესი, ჩინით მაიორი იყო, იგი იმერეთისა და გურიის სამთავროს კარზე ხშირად ასრულებდა სოლომონ მეორისა და მამია მეხუთე გურიელის დიპლომატიურ დავალებებს. დედა ივლიტა ნაკაშიძე იშვიათი სილამაზისა და საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა.

დიმიტრიმ საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო.1884 წელს წარჩინებით დაამთავრა კიევის სამედიცინო ფაკულტეტი. დიმიტრი ერისთავს როგორც წარჩინებულ სტუდენტს წინადადება მისცეს ასპირანტად დარჩენილიყო, მაგრამ დიმიტრიმ უარი განაცხადა და გამოეშურა თავის საყვარელ გურიაში, სადაც ხალხისათვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

მაგრამ 9 წლის შემდეგ 1895 წელს თავისი თხოვნით თავისუფლდება სამსახურიდან და და ცოდნის გასაღრმავლებლად მიდის კიევის უნივერსიტეტში, სადაც 2 წელი დაჰყო. მუშაობდა სახედრო სამედიცინო სასწავლებელში. ამ პერიოდში ცოლად შეირთო ოტია დადიანის ასული ნინო. ოტია დადიანი იყო პორუჩიკი, 1866-1882 წლებში იყო გვარდიის პოლკოვნიკი, ოზურგეთის მაზრის უფროსი. შემდგომში გენერალ-მაიორი. ოტია დადიანის ძმა ალექსანდრე (გრიგოლი) 1898-1898 წლებში იყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

კიევიდან დაბრუნების შემდეგ დიმიტრი ერისთავი 1902 წელს დაინიშნა ოზურგეთის მაზრის ექიმად. მას მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი განათლება, განსაკუთრებით დახელოვნებული იყო შინაგან მედიცინაში, თავისუფლად ფლობდა დოსტაქარის დანასა, სამედიცინო დახმარების ტექნიკას.იგი კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას უწევდა გურიის მოსახლეობას“ (ტიტე ღლონტი, ვანო სერელი“დიმიტრი ერისთავი“ 1958 წ.).

ამ დროს სოფლად მომუშავე ექიმები თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ. უმთავრესად მთელ მაზრას ერთი ექიმი და რამდენიმე ფერშალი ემსახურებოდა. ამ მდგომარეობას კარგად ასახავს 1894 წელს გაზეთ ,,ივერიაში“ (№140), გამოქვეყნებული წერილი:,,ავადმყოფობა და უექიმობა გურიაში“: სამკურნალო დაწესებულების სიმცირე,ფასიანი მკურნალობა, ექიმების, ფერშლების, პროვიზორების და ფარმაცევტების მცირერიცხოვნობა, ინფექციურ დაავადებათა (ყვავილი, ხოლერა, შავი ჭირი, ტიფი), ეპიდემიები, ხშირი სიკვდილიანობა, ექიმბაშობა.....დიდი ერუდიციის მუშაკთა აუცილებლობას.

ასეთ დროს გურიას მხსნელად მოევლინა დიმიტრი ერისთავი, მას სამედიცინო საქმე მაღალ დონეზე, რომ დაეყენებინა მრავალი დაბრკოლება უშლიდა ხელს. მთავარი სტაციონარის უქონლობა იყო. ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ოზურგეთი იყო, სახელმწიფო ხარჯით, სამკურნალო დაწესებულებების გახსნაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა .

დიმიტრი ერისთავმა გადაწყვიტა საკუთარი ხარჯებით გაემართა პატარა სტაციონარი. ამ მიზნით თავის საცხოვრებელ სახლს, რამდენიმე ოთახი მიააშენა, მაგრამ იმ ხანები მომხდარმა რევოლუციამ კერძო სავადმყოფოების საჭიროება მოხსნა, ხოლო სტაციონრისათვის გამზადებული ერისთავისეული სახლი გამოყენებულ იქნა უფრო დიდი საჭიროებისათვის..

დიმიტრი ერისთავი ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ოზურგეთის მოსახლეობა ყოველთვის ირჩევდა მას ქალაქის თვითმართველობის ხმოსნად. რევოლუციის წინა პერიოდში ქალაქის თვითმმართველობის მემარცხენე ოპოზიციას ხელმძღვანელობდა. 20-25 წლის მანძილზე გურიაში ადგილი არ ჰქონია არცერთ კულტურულ წამოწყებას, რომლის ინიციატორი ან აქტიური მონაწილე დიმიტრი ერისთავი არ ყოფილიყო. მისი თაოსნობით და გაიხსნა ოზურგეთში ქალაქის აფთიაქი,დიდი დახმარებას უწევდა თეატრისა და კინოს მუშაკებს, ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობაზე,

დიმიტრი ერისთავი მეფის რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო და მთელი სულითა და გულით რევოლუციონერებს თანაუგრძნობდა, ყოფილა შემთხვევები, როცა მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩენია ტყეში თავშეფარებული პოლიტიკურ დევნილებისათვის(დათიკო შევარდნაძე და სხვები). 1918 წელს თურქი დამპყრობლების ოზურგეთში შემოჭრის დროს მან ტყვედ ჩავარდნას გადაარჩინა რამდენიმე დაჭრილი ჯარისკაცი“(ტიტე ღლონტი, ვანო სერელი ,,დიმიტრი ერისთავი“1958 წელი).

მთავრობას რა თქმა უნდა დიმიტრი ერისთავი არ მოსწონდა, არც დიმიტრი ეპყრობოდა მათ პატივისცემით, ერთხელ მან პირადი შეურაცხოფა მიაყენა ქუთაისის გუბერნატორს, მისი შვილის ვახტანგ ერისთავის მოგონება: ,,ქუთაისის მცხოვრებმა თავადმა ქოჩაკიძემ(პოეტ ჭალადიდელის მამა) ერთხელ გამართა მეჯლისი, სადაც მოპატიჟებული იყო ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი, როცა დიმიტრის დეიდამ, თამარ ოტიას ასულმა დადიან-ქოჩაკიძემ დიმიტრი წარუდგინა გუბერნატორს, სლავოჩინსკიმ ხელი გაუწოდა, მამაჩემმა პირში მიახალა,შავრაზმელს ხელს არ ვართმევო. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ნათესავების დახმარებით დიმიტრი ერისთავი გადაურჩა სასჯელს ,თუმცა გუბერნატორმა იგი გურიას მოაშორა და რაჭის მაზრაში გადაიყვანა ექიმად(1912წ.). იმავე წლის დეკემბერში შორაპნის მაზრაში.1913 წელს იგი კვლავ ოზურგეთში დაბრუნეს“.

დიმიტრი ერისთავი არა მარტო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო, არამედ მწერალიც გახლდათ, მისი სამწერლო მოღვაწეობის შესახებ საგულისხმოა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის შეფასება: ,,გურიაში მოღვაწე ბელეტრისტებს შორის ეგ. ნინოშვილი, ლალიონი,ჭ ოლა ლომთათიძე ,,ნინო ნაკაშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, პ. ირეთელი. დიმიტრი ერისთავი გამორჩევა ახალი პერსონაჟების გამოყენებით . იგი თითქმის ყველა მოთხრობაში მწვავედ აშუქებდა სოციალური უთანხმოების ამბებს.-(ი. გრიშაშვილი ,,ლიტ.ნარკვევები“ 1952 წელი).

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: ,,*დიმიტრი ერისთავის მოთხრობები გვისურათხატებენ დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ და ზნეობრივ მდგომარეობას*“.

დიმიტრი ერისთავის მოთხრობა ,,ვისი ბრალია“? ცალკე წიგნად გამოიცა 1911 წელს სტამბა ,,შრომა“ ოზურგეთში.აღნიშული წიგნის ერთი ეგზემპლარი ვანო სერელის (სალუქვაძე) ბიბლიოთეკიდან ამჟამად ინახება ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ბიბლიოთკაში.

დიმიტრი ერისთავის შემოქმედება გაჟღენთილია ჰუმანიზმით, მშრომელი ხალხისადმი თანაგრძნობით, ჩაგრული გლეხობის სიყვარულით და სიმპატიით. მას სძულდა თავადაზნაურო-ბა, ვაჭრები.ებრძოდა თვითმპყრობელობას, როგორც ექიმი ებრძოდა ექიმბაშებს და მარჩიელებს, თავის ფელეტონებში, რომელიც ხშირად ,,ივერიაში“ იბეჭდებოდა სასტიკად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. ერთ ერთ თავის ფელეტონში აღნიშნული აქვს შემთხვევა , როდესაც ფოტინე თავართქილაძის ექიმბშობის შედეგად ავადმყოფს განუვითარდა განგრენა და დაიღუპა .აშკარად გმობდა ექიმბაშების შეუზღუდავ ქმედებებს.

დიმიტრი ერისთავის ,როგორც ექიმის მორვაწეობა, შეფასებული აქვს ოზურგეთელ ექიმს გრიგოლ კუნჭულიას. იგი წერდა: ,, *ერთი ფრანგი მეცნიერი ექიმის დანიშნულებასა და მოღვაწეობაზე ამბობს:“ ექიმის მოღვაწეობა და საპატიო დანიშნულება მხოლოდ იმაში არის მაღალღირსშესანიშნავი. როდესაც ის აღმოცენებულია არა ანგარიშზეფულსა და ქონების შეძენაზე, ,არამედ დიდ სიყვარულსა და თავდადებაზე მწუხარე და ტანჯვაში მყოფ ადამიანის მიმართ. პირველ შემთხვევაში ის უბრალო მოხელეა, მეორეში კი დიდი ადამიანი.ის ადვილად წვდება ხალხის გულს და იმორჩილებს მასო, სწორედ ამ უკანასკნელ ექიმთა რიცხვს ეკუთნოდა განსვენებული დიმიტრი ერისთავი, ის თავის მოვალეობას ეკიდებოდა იდეალურად და ყოველ საშუალებას ხმარობდა ტანჯვაში მყოფი ადამიანის დასახმარებლად. იგი მომზადებული იყო პრაქტიკულად და თეორიულად სნეულებათა ყოველ დარგიდან ჰქონდა ჰქონდა გამოცდილება. ერთი და იმავე დროს იყო დაკვირვებული შინაგან სნეულებათა მცოდნე , დოსტაქრობაშიც მარჯვე ხელისა ,,ამიტომაც იყო მასზე ამბობდნენ ძლიერ შეწუხებული ავადმყოფნი ჩვენი ტიტიკო მომიყვანეთ და ის მომარჩენსო“* (გრიგოლ კუნჭულია ,,ექიმი დიმიტრი ერისთავი“ ჟურნალი ,, თეატრი და ცხოვრება“ 1925 წელი 25 ივნისი“).

პროფესორი ალექსი მინდაძე დიმიტრი ერისთავის გურიაში მოღვაწეობას მანათობელ შუქურას ადარებდა: ,,*წარმოიდგინეთ მე-19 საუკუნის დასასრულს არსებული გურიის სოფლები, თავისი სიღარიბით, ჩამორჩენილობით, მკით-ხავებისა და და ექიმბაშების ანაბარა მიტოვებული და ამ დროს ,როგორც შუქურ-ვარსკლავივით აშუქებდა მაშინდელი გურიის სინამდვილეს ,ჩვენი ღირსეული წინაპარი, ექიმი,მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ერისთავი.*“

დიმიტრი ერისთავი ლექსებსაც წერდა და რამდენიმე პიესის ავტორიც არის. დასაბეჭდათ გამზადებული დარჩა მოთხრობებისა და პიესების კრებული,რომელიც დაკარგულია.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (საქმე 126) დაცულია საოჯახო ალბომი, რამდენიმე ფოტოთი, ლექსები მისი ძმის კაკოს ხელით გადაწერილი. მისი ხელნაწერებიდან კი :,,არტერიის გადანასკვა“ წინასიტყვაობა ორი დრამისა“ ,,ბრძოლა თავისუფლებისათვის“, და ,,რღვევა“, კონსპექტები, ლექსები პროზად ,,შემოდგომის ჰანგზე“ და სხვა, ფოტოალბომში ყურადღებას იპყრობს ნახატი ადამიანის თავის ქალა წარწერით:,,*ადამიანო გახსოვდეს, რომ ხარ მომაკვდავი ისწრაფე შენი ცხოვრების უმთავრ-ესი მიზნის განსახორციელებლად არ დაკარგო არცერთი წამი უქმად:1908 წელი*(მეორე მხარეს აქვს წარწერა საჩურად მამას ვახტანგი),

დიმიტრი ერისთავმა სიცოცხლის ბოლო წლები სოფელ გორაბერეჟოულში გაატარა. 1924 წლის 21 დეკემბერს გარაიცვალა, განსვენებულის ცხედარი ოზურგეთში ჩამოასვენეს და დაკრძალეს თავის დაარსებულ სავადმყოფოს ეზოში, შემდეგ მისი ნეშტი (მზის მშე-ნებლობის გამო) გადაასვენეს მოიდანახის სასაფლაოზე. სამწუხაროდ დღეისათვის მისი საფლავი უცნობია.გაისად სრყლდება ცნობილი ექიმის და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ერისთავის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი ხომ არ არის შესაძლებელი ოზურგეთის ექიმთა საზოგადოების დახმარებით ფართოდ აღინიშნოს ეს თარიღი ამასთან გაკეთდეს სიმბოლური საფლავი თავისივე დაარსებულ ოზურგეთის ყოფილი საავადმყოფოს ეზოში (ამჟამად ბავშვთა საავადმყოფო).

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მცველი



ყველა ბავშვს, ჩვენს მომავალს ვულოცავ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

ვუსურვებთ ბედნიერ ბავშვობას, ულევ მზიან დღეებს, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას.

უფალმა დაგვოცოთ და გაგაჯლიეროთ!

ვასილ ჩიგოგიძე

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ძვირფასო ბავშვებო გილოცავთ თქვენ დღესასწაულს! გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას და წარმატებებს მომავალ ცხოვრებაში

დავით ჭაკნელიძე

ოზურგეთის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

ჩვენო პატარებო! საუკეთესო სურვილებით ვუერთდებით თქვენს დღესასწაულს. გახსოვდეთ ჩვენ თქვენთვის ვქმნით ბედნიერ თეატრალურ სამყაროს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი

პროექტი „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში - 2023“ პირველი ეტაპი დასრულდა

23 მაისს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში დაიწყო პროექტი „შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში - 2023“, რომლის პირველი ეტაპი 3 ივნისს დასრულდა

ცენტრთან არსებული შემოქმედებითი სტუდია-სახელოსნო Gurian ART უკვე მეშვიდედ მასპინძლობს ქართველ და უცხოელ მხატვრებს. ტრადიციულად სთვაზობს მათ თავისუფალ შემოქმედებით სივრცეს, დაზგური გრაფიკის ჟანრში პროფესიული სრულყოფისთვის.

წელს პროექტი სამ ნაწილად არის გათვლილი. პირველ ეტაპზე, რომელიც ათი დღე გასტანა, ხუთმა მხატვარმა იმუშავა: **ნინო პატარავა, ხათუნა ბებურიშვილი, ნინო გორდელაძე, თამარ ინარიძე** და **მარიამ დოლიძე.** მათ გაიარეს ოფორტის მასტერ-კლასი **ავთანდილ თავართქილაძის** ხელმძღვანელობით.

ნინოგორდელაძე,– *თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია – კინო-ტელე მხატვრობა; დიზაინისა და პრინტის აკადემია – გრაფიკული დიზაინი*

„დაზგამ მომცა საშუალება, რომ ჩემი იდეები სხვა კუთხით წარმომეჩინა და შესაძლებლობები სრულიად სხვაგვარად დამენახა. ვეზიარე განსხვავებულ და საინტერესო ესთეტიკას. და რაც მთავარია, მოხდა ენერგიების გაცვლა გასაოცარ ადამიანებთან.“

მარიამ დოლიძე, – *ნაგომრის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი; დაამთავრა ოზურგეთის სამხატვრო სკოლა; 2023 წლის 26 აპრილს გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში.*

„ეს პროექტი, ეს გარემო – ჩემი განვითარების სრულიად სხვა ეტაპია. ზღვა ემოციები და გამოცდილება, დაზგური გრაფიკის თეორიისა და პრაქტიკის დაუვიწყარი კურსი უდიდესი მუხტია ჩემი მომავლისთვის.“

ხათუნა ბებურიშვილი, *–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ქიმიის ფაკულტეტი; თვითნასწავლი ფერმწერი (აკრილი, სპირტის მელ-ანი); დეკორატიული ხელოვნება (ვიტრაჟი); არის მხატვართა კავშირის წე-ვრი. გამოფენების მონაწილე. ორი პერსონალური გამოფენა.*

„ჩემი აზრით, ყველა შემოქმედმა ადამიანმა უნდა გაიაროს ასეთი შესანიშნავი პროექტი. რადგან დაზგური გრაფიკა იძლევა უსაზღვრო შესაძლებლობას, გამოავლინო საკუთარი თავი. ჩემთვის სრულიად ახალი და უცხო გამოცდილება, არაჩვეულებრივი გარემო, უნიჭიერესი და გულითადი ადამიანები... მიხარია ყოველი დღის გათენება!“

ნინო პატარავა; ოზურგეთის პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ – ტანსაცმლის მოდელირება; დაამთავრა ოზურგეთის სამხატვრო სკოლა; დიზაინერი; ფერწერა, გრაფიკა;

„ოფორტის მასტერ-კლასი ჩემთვის უაღრესად საინტერესო გამოწვევაა; განსხვავებული ხედვა და შეიძლება ითქვას – უდიდესი ნახტომი პროფესიული განვითარების თვალსაზრისით... პროექტში მონაწილე ადამიანების სახით კი შესანიშნავი მეგობრები შევიძინე.“

თამარ ინარიძე – თბილისის ბიზნეს-ტექნოლოგიების უნივერსიტეტი – ბიზნესის ადმინისტრირება; თვითნასწავლი მხატვარი. ფერმწერი, გრაფიკოსი; ფერწერის პროექტის „არტ-თერაპია“ მონაწილე (პოლონეთი).

„ეს არის ჩემი პირველი ქართული პროექტი, რომელიც ხელოვნებას უკავშირდება და ამიტომ ორმაგად საპასუხისმგებლოა...მან დამანახა შემოქმედების სერიოზული მხარეები და უსაზღვრო პერსპექტივები. ოფორტის ტექნიკა ძალიან დამეხმარა, საკუთარი ფიქრები უფრო ნათლად გამომეხატა. გარემო კი შინაურული, თითქმის სახლური შეიქმნა ჩემთვის. ამ არაჩვეულებრივმა ადამიანებმა ყველა სამხატვრო „ფობია“ გამიფანტეს და მოტივაცია ამიმაღლეს.“

ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრი გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!

წვიმა +17+22	წვიმა +16+22	წვიმა +18+21	მზე, ღრუბელი +17+25	მზე, ღრუბელი +18+24	მზე, ღრუბელი +18+26	ღრუბელი +19+25
5 ივნისი ორშაბათი	6 ივნისი სამშაბათი	7 ივნისი ოთხშაბათი	8 ივნისი ხუთშაბათი	9 ივნისი პარასკევი	10 ივნისი შაბათი	11 ივნისი კვირა